ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 13

ქ. ქობულეთი 20 მაისი 2014 წელი

გამარტივებული შესყიდვის განხორციელების მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის (მე-3 მუხლი, 1-ლი პუნქტი, ს[1] ქვეპუნქტი) შესაბამისად, ერთის მხრივ ა(ა)იპ ,,ქობულეთის გამწვანება'', (ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი #141) ა(ა)იპ ,,ქობულეთის გამწვანების'' დირექტორის არჩილ დუმბაძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ შპს ,,სეიფ ტექსტილ'' (ქალაქ ბათუმი, ალ.გრიბოედოვის ქ.#39, ბ.6) (შემდგომში „მიმწოდებელი“), დირექტორის მანანა კაკაციძის სახით, ვდებთ ხელშეკრულებას „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (კოდი 18100000 – სამუშაო ტანსაცმელი, სპეცტანსაცმელი და აქსესუარები) ა(ა)იპ ,,ქობულეთის გამწვანების'' საჭიროებისათვის სამუშაო ტანსაცმელის შესყიდვაზე, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოთ აღნიშნული საქონელი შემდეგ თანხაზე: 3600 (სამიათასექვსასი) ლარი (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“).

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში _ „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი“–ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ა(ა)იპ ,,ქობულეთის გამწვანების'' საჭიროებისათვის სამუშაო ტანსაცმელის შესყიდვა (შემდგომში „საქონელი“) თანახმად თანდართული დანართისა.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 3600 (სამიათასექვსასი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისაწოდებელი საქონელის მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, რომლის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდებულ საქონელზე შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტის და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

4.3 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.
4.4 ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული „მიმწოდებელი"–ს საბანკო რეკვიზიტებზე.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 საქონელი ჩაითვლება მიღებულად მიწოდებულ საქონელზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.2 საქონლის მიღება ჩაბარებას ახორციელებს უფლებამოსილი პირი, კერძოდ: ა(ა)იპ ,,ქობულეთის გამწვანების'' სპეციალისტი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში (ჯ.მჟავანაძე).
5.3 მიწოდებული საქონელის (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
5.6 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონელის და წუნდების მიზეზის მითითებით.

6. საქონელის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1 საქონელის მიწოდების ადგილად განისაზღვრება ქალაქ ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141, ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა.
6.2 საქონლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 20 აპრილის ჩათვლით.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მოწოდებული საქონელის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მოწოდებული საქონელის ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული დანართით გათვალისწინებული საქონლის რაოდენობის შესაბამისად საქონელის მიწოდება.

8.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს ა(ა)იპ ,,ქობულეთის გამწვანების'' სპეციალისტი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში (ჯ.მჟავანაძე).
8.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მოწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.
8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.
9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.
10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
10.5. მხარე ვალდებულია 10.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
10.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;
11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2014 წლის 20 მაისის ჩათვლით.

14. „შემსყიდველი"–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

14.1 „შემსყიდველი"–ს მისამართი: ქალაქ ქობულეთი, დ.აღმაშენებლის გამზირი #141;
14.2 „შემსყიდველი"–ს საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „ლიბერთი ბანკი"–ს ქობულეთის ფილიალი, ბანკის კოდი **LBRTGE22,** ა/ა **GE12LBO115157927022000,** საიდენტიფიკაციო კოდი **247009062;**
14.3 „შემსყიდველი" – ა(ა)იპ ,,ქობულეთის გამწვანება''.

15. „მიმწოდებელი"–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

15.1 „მიმწოდებელი"–ს იურიდიული მისამართი: ქალაქ ბათუმი, ალ.გრიბოედოვის ქ.#39,ბ.6
ფაქტიური მისამართი: ქალაქ ბათუმი, პუშკინის 59
15.2 „მიმწოდებელი"–ს საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „საქართველოს ბანკი", ბანკის კოდი **BAGAGE22,** ა/ა **GE73BG0000000996949200,** საიდენტიფიკაციო კოდი **445409424.**
15.3 „მიმწოდებელი"– შპს ,,სეიფ ტექსტილ''

„შემსყიდველი" – ა(ა)იპ ,,ქობულეთის გამწვანება''

ა(ა)იპ ,,ქობულეთის გამწვანების''

დირექტორი

არჩილ დუმბაძე

„მიმწოდებელი" – შპს ,,სეიფ ტექსტილ''

დირექტორი

მანანა კაკაციძე

დანართი

კოდი 18100000

№	საქონელის დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარში)	თანხა
1	ორეული (შარვალი, ზედა ქურთუკი)	წყვილი	17	49,00	833,00
2	მაისური (წარწერით მოკლე სახელოთი)	ცალი	20	11,00	220,00
3	საწვიმარი ლაბადა (წარწერით)	ცალი	28	31,00	868,00
4	ხელთათმანი (26 სმ)	წყვილი	127	3,00	381,00
5	კეპი (ქუდი)	ცალი	20	6,00	120,00
6	რეზინის ჩექმები	წყვილი	21	17,00	357,00
7	სათვალე	ცალი	20	7,00	140,00
8	კომბინიზონი	ცალი	17	28,00	476,00
9	ჟილეტი ამრეკლით	ცალი	21	5,00	105,00
10	რეზინი ჩექმა კომბინიზონი	წყვილი	2	50,00	100,00
	სულ ჯამი:				3600

მიმწოდებელი შპს „სეიფ ტექსტილ"

დირექტორი **მანანა კაკაციძე**

SAFE TEXTILE GEORGIA, LIMITED LIABILITY COMPANY 445409424